კოტეტას თასი 2025

რეგლამენტი

შინაარსი:

1. ტერმინები და განმარტებები
2. ნორმატიული ბაზა
3. პადოკი
4. შეჯიბრებების განრიგი
5. მონაწილეების დაშვების პირობები. პერსონალი.
6. წინასასტარტო შენატანები.
7. ადმინისტრაციული შემოწმება, ტექნიკური ინსპექცია.
8. საბორტო ნომრები, აუცილებელი წარწერები, რეკლამა.
9. საინფორმაციო დაფა, ინფორმაცია.
10. უსაფრთხოების საერთო პირობები
11. კვალიფიკაცია
12. ბრიფინგი
13. ნახევარფინალი
14. ფინალი
15. სასტარტო პროცედურეა
16. ნახევარ ფინალური ან ფინალური რბოლების შეჩერება
17. რბოლის განმეორებითი სტარტი
18. ფინიში
19. ჯარიმები
20. კლასიფიკაცია

მუხლი 1. ტერმინები და განმარტებები

„კოტეტას თასი 2025“ რეგლამენტში, გამოიყენება ტერმინოლოგია შემდეგი მნიშვნელობით:

1.1. **სსსფ** - საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია

1.2. **სკ** - სპორტული კოდექსი

1.3. **მრბოლელი (მონაწილე)** – პირი, რომელიც გაივლის რეგისტრაციას ღონისძიებაზე მონაწილეობის მისაღებად და დაშვებული იქნება ღონისძიებაზე;

1.4. **მონაწილის პერსონალი** (არსებობის შემთხვევაში) – პირი, დარეგისტრირებული მონაწილის მიერ, რომელსაც აქვს რბოლის დროს დროებით სერვის ზონაში ყოფნის უფლება მონაწილის ავტომობილის მომსახურების მიზნით

1.5. **სარბოლო ტრასა** – დახურული და შემოფარგლული ტერიტორია, გამოიყენება შეჯიბრებების ჩატარებისათვის და არის ორგანიზატორის კონტროლის ქვეშ.

1.6. **ორგანიზატორის პერსონალი** – ფიზიკური ან/და იურიდიული პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ შეჯიბრებების მომზადებასა და ჩატარებას.

1.7. **დროებითი პადოკი (პადოკი)** –მონაკვეთი, რომელიც გამოეყოფა მონაწილეებს ტექნიკური ავტომობილების, სპორტული ტექნიკის განლაგებისა და მათი სარემონტო მომსახურებისათვის.

1.8. **სასიგნალო პლატფორმა** – რბოლების მიმდინარეობისას ფინიშის, წრეების და მონაწილეებისათვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდების ადგილი.

1.9. **საინფორმაციო დაფა** – შეჯიბრის დროს მიმდინარე ინფორმაციის გამოსაქვეყნებელი ადგილი.

1.10. **ტრიბუნები** – სტაციონალური ან დროებითი ნაგებობა, რომელიც გათვალისწინებულია მაყურებლებისათვის.

1.11. **ბრიფინგი** – მონაწილეებისა და მათი პერსონალის შეკრება, შეჯიბრების ხელმძღვანელისგან ინფორმაციის მისაღებად.

1.12. **ორგანიზატორი** – იურიდიული პირი სსსფ–ს ნებართვით, რომელიც პასუხისმგებელია სსსფ–ს მოთხოვნების კონტროლის გასაწევად.

1.13. **საორგანიზაციო კომიტეტი** – ჯგუფი, შემდგარი მინიმუმ 3 წევრისაგან, რომელ ჯგუფსაც ხელმძღვანელობს საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე. საორგანიზაციო კომიტეტი სრულად კომპლექტდება ორგანიზატორის მიერ

1.14. **გასწრება** – მოიცავს შემდეგ სტადიებს:

- გასწრების დასაწყისი – მიახლოვება (გამსწრები ავტომობილის ცხვირსა და გასასწრები ავტომობილის უკანა ნაწილს შორის არსებული მანძილის შემცირება.)

- ერთი ავტომობილის წინსწრება მეორის მიმართ.(მოძრაობა გვერდი გვერდ).
- გასწრების დასრულება. (გამსწრები ავტომობილის უკანა ნაწილსა და გასასწრები ავტომობილის ცხვირს შორის არსებული მანძილის გაზრდა.) თუ მოსახვევში შესვლის დროს გამსწრები ავტომობილი შევიდა გასასწრები ავტომობილის „ბაზაში," მაშინ ავტომანქანების შემდგომი მოძრაობა უნდა ხორციელდებოდეს პარალელური ტრაექტორიის მიხედვით(არცერთმა ავტომობილმა არ უნდა შეიცვალოს მოძრაობის ტრაექტორია)მოსახვევში შესვლის დროს, თვითონ მოსახვევში და მოსახვევიდან გამოსვლის დროს. ავტომობილმა რომელიც იმყოფება შიდა ტრაექტორიაში არ უნდა დაუშვას ისეთი მოქმედება, რომელიც გამოიწვევს გარე ტრაექტორიაში მყოფი ავტომობილის გამოდევნას სარბოლო ზონიდან. იგივე მოქმედებები ეხება გარე ტრაექტორიაზე მოძრავ ავტომობილსაც.

მუხლი 2. ნორმატიული ბაზა.

„კოტეტას თასი 2025" ჩატარებისა და ორგანიზების ნორმატიულ დოკუმენტაციად ითვლება:

- სსსფ-ის სპორტული კოდექსი და მისი დანართბი
- შეჯიბრებების რეგლამენტი და მისი დანართები
- შეჯიბრების დებულება და მისი დანართები
- ტექნიკური მოთხოვნები მონაწილე ავტომობილების მიმართ

მუხლი 3. პადოკი.

3.1. შეჯიბრების ორგანიზატორს უნდა გააჩნდეს პადოკის განაწილებული გეგმა მონაწილეების მიხედვით. უნდა იქნეს დანიშნული პასუხისმგებელი პირი, რომელიც მოახდენს მონაწილეების განლაგების ორგანიზებას.

3.2 მონაწილეებს ეკრძალებათ პადოკზე საბურავის გათბობა (მოძრაობით ან/და ბუქსაობით). პადოკში დაშვებული მაქსიმალური სიჩქარე შეადგენს 20კმ/სთ-ს

მუხლი 4. შეჯიბრებების განრიგი.

4.1. შეჯიბრება მოიცავს სამი სახის სესიას:

4.1.1. საკვალიფიკაციო სესია

4.1.2. ნახევარფინალური სესია

4.1.3. ფინალური სესია

4.2. შეჯიბრებების განრიგი და რბოლების მიმდინარეობის თანმიმდევრობა მოცემული უნდა იყოს შეჯიბრების დებულებაში

მუხლი 5. მონაწილეების დაშვების პირობები. პერსონალი.

5.1 „კოტეტას თასი 2025“ მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან პირები არანაკლებ 18 წლისა, რომლებსაც გააჩნიათ მოქმედი მართვის მოწმობა ან სსსფ-ის მიერ გაცემული პროფესიონალი მრბოლელის ლიცენზია;

5.2. მონაწილეები ღონისძიებაზე რეგისტრაცია გადიან ონლაინ (გამოქვეყნდება შეჯიბრების დებულებაში)

5.3. მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა შეზღუდული არ არის თუ დამატებით ცვლილება არ იქნება გათვალისწინებული შეჯიბრების დებულებაში

5.4. მონაწილე, ღონისძიებაზე დაიშვება მხოლოდ ერთი ავტომობილით. ავტომობილის შეცვლა დაუშვებელია მონაწილის მიერ საკვალიფიკაციო გარბენის დაწყების შემდეგ;

5.5. მონაწილის პერსონალი, დარეგისტრირებული უნდა იყოს სარეგისტრაციო განაცხადში

6. წინასასტარტო შენატანები.

6.1. „კოტეტას თასი 2025“ზე მონაწილეობა გათავისუფლებულია წინასასტარტო შენატანისგან;

მუხლი 7. ადმინისტრაციული შემოწმება, ტექნიკური კონტროლი.

7.1. ადმინისტრაციული შემოწმება ტარდება შეჯიბრებების მდივნის მიერ, ადგილზე, მოცემული შეჯიბრების დებულების მიხედვით.

7.2. ადმინისტრაციული შემოწმებისას, მონაწილემ და მისმა პერსონალმა ხელმოწერით უნდა დაადასტურონ მათი შეჯიბრებაზე გამოცხადება და წარმოადგინონ 7.3 პუნქტში მოთხოვნილი საბუთები

7.3. მონაწილის მართვის მოწმობა ან სსსფ-ს მიერ გაცემული პროფესიონალი მრბოლელის ლიცენზია

7.4. ადმინისტრაციული შემოწმების დასრულების შემდგომ, სამდივნო აწარმოებს მრბოლელების და მათი პერსონალის სიის გამოქვეყნებას ოფიციალურ საინფორმაციო დაფაზე.

7.5 ღონისძიების ორგანიზატორი ვალდებულია ორგანიზება გაუწიოს ტექნიკური ინსპექციის პუნქტის წინასწარ ტექნიკურ შემოწმებას. ტექნიკურ ინსპექციის პუნქტში შემოწმების დრო და ადგილი მოცემულია შეჯიბრების დებულებაში. ტექნიკურ ინსპექციის პუნქტში მოწმდება მონაწილე ავტომობილები და მათზე განთავსებული აუცილებელი რეკლამები.

7.6 მრბოლელის ან/და პერსონალის დასწრება მონაწილე ავტომობილის ტექნიკურ შემოწმებაზე სავალდებულოა.

7.7 მონაწილე ავტომობილები, რომლებიც არ/ვერ გაივლიან ტენიკურ შემოწმებას „კოტეტას თასი 2025“ზე არ დაიშვებიან.

მუხლი 8. საბორტო ნომრები, აუცილებელი წარწერები, რეკლამა.

8.1. მონაწილე ავტომობილების საბორტო ნომრები მზადდება ორგანიზატორის მიერ და ქვეყნდება ადმინისტრაციული შემოწმებისას. მონაწილე ავტომობილების საბორტო ნომრებს ირჩევენ მონაწილეები ან მათი პრესონალი ადმინისტრაციული შემოწმებისას იმ საბორტო ნომრებიდან, რომელიც არის გამოქვეყნებული ორგანიზატორის მიერ

8.2. მონაწილეებს უფლება აქვთ განათავსონ თავის მანქანებზე ნებისმიერი სახის რეკლამა თუ ის:

- არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას;
- არ ფარავს ხედვის არეს პილოტის ადგილიდან;
- არ ეწინააღმდეგება ეთიკისა და მორალის ნორმებს;
- არ არის რელიგიოზური და პოლიტიკური (მისი შინაარსით) ;

- არ ატარებს შეურაცყოფით ხასიათს;
- არ იკავებს სპორტული ნომრებისა და აუცილებელი რეკლამის ადგილს;
- არ ეწინააღმდეგება რეგლამენტს ან/და შეჯიბრების დებულებას

8.3 ორგანიზატორის მიერ გამოქვეყნებული (მონაწილის ავტომობილზე დასაკრავი) რეკლამებიდან, ყველა რეკლამა სავალდებულოა თუ სხვა არ არის გათვალისწინებული შეჯიბრების დებულებაში

მუხლი 9. საინფორმაციო დაფა, ინფორმაცია.

9.1. მხოლოდ შეჯიბრების ხელმძღვანელს, მონაწილეებთან ურთიერთობის ოფიცერსა და შჯიბრებების მდივანს შეუძლიათ ოფიციალური ინფორმაციის მოწოდება.

9.2. შეჯიბრებების საინფორმაციო დაფა (იხილეთ პუნქტი – 1.9) მდებარეობს შეჯიბრებების სამდივნოში (თუ სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული შეჯიბრების დებულებით).

9.3. ორგანიზატორს უფლება აქვს განსაზღვროს პილოტებისა თუ მათი წარმომადგენლებისათვის ოფიციალური კრებებისა და მათი ჩატარების ადგილი. კრების ჩატარების ადგილი და დრო ცხადდება დამატებით (ბრიფინგი). პილოტებისა და მათი წარმომადგენლების ბრიფინგებსა და კრებებზე დასწრება სავალდებულოა.

მუხლი 10. უსაფრთხოების საერთო პირობები.

10.1. მრბოლელებს ეკრძალებათ იმოძრაონ ავტომობილით რბოლის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით იმ კონკრეტული შემთხვევის გარდა, როდესაც საჭიროა ავტომანქანის სახიფათო ზონიდან გამოყვანა.

10.2. თუ შეჯიბრებების დროს ავტომობილი გაჩერდა და პილოტს არ შეუძლია მანქანის უსაფრთხო ზონაში გაყვანა, მან სასწრაფოდ უნდა დატოვოს ავტომობილი და გადავიდეს უახლოეს უსაფრთხო ზონაში.

10.3. ავტომობილისათვის საჭირო სამუშაოების ჩატერება შესაძლებელია მხოლოდ პადოკში

10.4. იმ დროს როდესაც შეჯიბრის ხელმძღვანელის მიერ ტრასა ჩაითვლება დახურულად, არავის აქვს უფლება იმყოფებოდეს მასზე გარდა მარშლებისა რომლებიც ასრულებენ თავიანთ სამუშაოს, მრბოლელებისა რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონკრეტულ სესიაში. შეჯიბრების ხელმძღვანელის

თანხმობით შესაძლებელია სარბოლო მონაკვეთზე დამატებითი აქტივობების დაშვება

10.5. მრბოლელები რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ შეჯიბრებაში უნდა აკმაყოფილებდენ ტექნიკურ მოთხოვნებს, რომელიც გათვალისწინებული იქნება შეჯიბრების დებულებაში

10.6. პადოკზე მოქმედებს სიჩქარის შეზღუდვა - მაქსიმუმ 20 კმ/სთ.

მუხლი 11. კვალიფიკაცია

11.1. საკვალიფიკაციო სესიას, მონაწილეები გაივლიან თითო-თითო. შეჯიბრების ხლემძღვანელს აქვს უფლება მონაწილეთა რაოდენობა საკვალიფიკაციო გარბენისას შეცვალოს.

11.2. საკვალიფიკაციო სესიაში თანმიმდევრობა განისაზღვრება ადმინისტრაციული შემოწმებისას კენჭისყრით

11.3. საკვალიფიკაციო გარბენი შედგება 3 წრისაგან

11.3.1 პირველი წრე - გამახურებელი

11.3.2 მეორე და მესამე წრე - ჩათვლითი

11.4. საკვალიფიკაციო შედეგის მისაღებად მონაწილემ უნდა გაიაროს მინიმუმ 1 ჩათვლითი წრე

11.5. საკვალიფიკაციო სესიიდან გამოთიშვისას მონაწილეს არ აქვს უფლება საკვალიფიკაციო სესია დაიწყოს თავიდან ან გააგრძელოს

11.6. თუ რომელიმე მონაწილე ვერ ახერხებს საკვალიფიკაციო სესიაში მონაწილეობის მიღებას განრიგის დაცვით, შეჯიბრების ხელმძღვანელის ნებართვის შესაძლებელია მონაწილეს შეეცვალოს საკვალიფიკაციო გარბენის განრიგი.

11.7. გამახურებელი წრის შემდეგ მონაწილეს, სასიგნალო პლატფორმაზე აუფრიალებენ მწვანე დროშას რაც მიუთითებს იმაზე, რომ მონაწილემ დაიწყო საკვალიფიკაციო გარბენი. საკვალიფიკაციო გარბენის შემდეგ მონაწილეს, სასიგნალო პლატფორმაზე აუფრიალებენ ფინიშის დროას, რაც მიანიშნებს მონაწილეს საკვალიფიკაციო გარბენის დასრულებაზე.

11.8 საკვალიფიკაციო გარბენის შეწყვეტის (წითელი დროშებით (არა შეჯიბრების მონაწილის მიზეზით)) შემთხვევაში მონაწილეს უფლება აქვს

საკვალიფიკაციო გარბენი გაარგძელოს. სესიის შემწყვეტის შემთხვევაში კონკრეტული წრე შეწყდება და ჩათვლითი გარბენის დროს ანულირდება.

11.9 საკვალიფიკაციო გარბენზე ერთი და იგივე დროის დაფიქსირების შემთხვევაში უკეთესი პოზიცია ენიჭება მონაწილეს რომელსაც მეორე დრო ექნება უკეთესი, თუ მეორე დროც მონაწილეებს ერთანირი აქვთ ან არცერთ მონაწილეს არ აქვს დაფიქსირებული მოერე დრო, უკეთესი პოზიცია ენიჭება მონაწილეს, რომელმაც პირველმა დააფიქსირა აღნიშნული დრო.

11.10 თუ, დრო არ აქვს დაფიქსირებული 1 (ერთი) ან მეტ მონაწილეს მაშინ პოზიციები ასეთ მონაწილეებზე გადანაწილდება შემდეგ ნაირად - უკეთესი პოზიცია ექნება მონაწილეს, რომელმაც დაიწყო საკვალიფიკიციაიო წრე, შემდეფგ მონაწილე რომელიც გავიდა გამახურებელ წრეზე. ნებისმიერი ასეთი თანაფორდობის შემთხვევაში მონაწილე შეჯიბრების ხელმძღვანელი მიიღებს გადაწყვეტილებას.

11.11 კვალიფიკაციის შემდეგ ნახევარ ფინალში გადადის 20 (ოცი) საუკეთესო დროის მქონე მონაწილეს. თუ რომელიმე მონაწილე ვერ ახერხებს ნახევარ ფინალურ გარბენში მონაწილეობის მიღებას, მაშინ მის ადგილს საკვალიფიკაციო გარბენის შემდეგ მომდევნო მონაწილე დაიკავებს.

მუხლი 12. ბრიფინგი.

12.1. ბრიფინგი გაიმართება ადმინისტრაციული შემოწმების დასრულების შემდეგ.

12.2. ბრიფინგი უნდა იქნას ჩატარებული განსაზღვრულ ადგილას, ყველა პილოტი და მისი წარმომადგენელი აუცილებლად უნდა ესწრებოდნენ მას, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს მათი დისკვალიფიკაცია ან დაჯარიმება. თუ რბოლების ხელმძღვანელი გადაწყვეტს დამატებითი ბრიფინგის ჩატარებას, დრო და ადგილი წინასწარ უნდა შეთანხმდეს მრბოლელებთან.

13. ნახევარფინალი

13.1. ნახევარ ფინალი - შედგება ორი ჯგუფისაგან

13.1.1 ნახევარფინალური ჯგუფი - 1 (ერთი გარბენი)

13.1.2 ნახევარფინალური ჯგუფი - 2 (ერთი გარბენი)

13.2. ნახევარფინალურ ჯგუფში 1 - მონაწილეები სასტარტო ბადეზე განლაგდებიან კვალიფიკაციის შედეგების მიხედვით კენტი პოზიციებით პირველიდან (1) მეცხრამეტე (19) პოზიციის ჩათვლით

13.3. ნახევარფინალურ ჯგუფში 2 - მონაწილეები სასტარტო ბადეზე განლაგდებიან კვალიფიკაციის შედეგების მიხედვით ლუწი პოზიციებით მეორედან (2) მეოცე (20) პოზიციის ჩათვლით

13.4. ნახევარ ფინალური გარბენი შედგება 10 ჩათვლითი წრისაგან

13.5. სტარტი - ადგილიდან

13.6. პირველი სასტარტო ზოლის ადგილმდებარეობა განისაზღვრება შეჯიბრების დებულებით

14. ფინალი

14.1. ფინალი შედგება 1 ფინალური გარბენისაგან და ერთი ჯგუფისგან

14.2. ფინალში წრეების რაოდენობა გაისაზღვრება 15 წრით

14.3. სტარტი - ადგილიდან

14.4. ფინალში დაიშვებიან მონაწილეები ნახევარფინალში დაფიქსირებული შედეგებით: 5-5 (ხუთ-ხუთი) მონაწილე თითოეული ნახევარფინალური ჯგუფიდან. სულ 10 (ათი) მონაწილე

14.5. თუ რომელიმე მონაწილე ვერ შეძლებს ფინალურ გარბენში სასტარტო ბადეზე გამოსვლას, მას ჩაანაცვლებს მომდევნო მონაწილე მისივე ჩათვლითი ჯგუფიდან

14.6. ფინალში, მონაწილეები სასტარტო ბადეზე, განლაგდებიან კვალიფიკაციის შედეგების მიხედვით

14.7. პირველი სასტარტო ზოლის ადგილმდებარეობა განისაზღვრება შეჯიბრების დებულებით

15. სასტარტო პროცედურა.

15.1. სტარტი.

15.1.1. სასტარტო სიგნალი მიეცემა მონაწილეებს სასიგნალო პლატფორმიდან დროშის აქნევით (თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული შეჯიბრების დებულებაში)

15.1.2. 15 წუთით ადრე მონაწილეებს ეცნობებათ სასტარტო პროცედურის დაწყებაზე და 5 წუთით ადრე მონაწილეები დაიძვრებიან საასტარტო ბადისაკენ

15.1.3. ფინალში სტარტამდე 1 წუთით ადრე, მონაწილეს რომელიც ვერ გამოვა პადოკიდან ეკრძალება სასტარტო ბადეზე გამოსვლა.

15.1.4. სასტარტო დროის მოახლოვება ცხადდება დროის მანიშნებელი დაფებით, რომლებიც ანიშნებენ 3, 1 და 30 წამს სასტარტო დრომდე, ამ დაფებს აქვთ შემდეგი დანიშნულება:

ა) დაფა „3“ წუთი– სასტარტო ბრძანების გაცემამდე დარჩენილია სამი წუთი.

ბ) დაფა „1“ წუთი – სასტარტო ბრძანების გაცემამდე დარჩენილია ერთი წუთი

გ) დაფა „30“ წამი – სასტარტო ბრძანების გაცემამდე დარჩენილია 30 წამი

15.1.5. სტარტი - გამახურებელი წრის გარეშე

15.2. სტარტი ადგილიდან

15.2.1. თუ 5 წუთით ადრე, რომელიმე მონაწილე ვერ ახერებს სასტარტო ბადეზე გამოცხადებას ფინალურ გარბენში, მისი სასტარტო პოზიცია რჩება ცერიელი

15.2.3. თუ სტარტის ბრაძანების გაცემამდე რომელიმე მონაწილეს შეექმნება ტექნიკური პრობლემა, მონაწილე ვალდებულია ანიშნოს მარშლებს (გააღოს კარი, ასწიოს ხელე). ასეთ შემთხვევაში სასტარტო პროცედურა შეწყდება, რასაც სასიგნალო პლატფორმაზე წითელი დროშის აფრიალება მოყვება.

15.2.4. ფალსტარტის შემთხვევაში მონაწილე გარბენის შემდეგ დაჯარიმდება ერთი პოზიციით (თუ მონაწილე გარბენზე დააფინიშებს II (მეორე) საბოლოო შედეგებში ჩაეთვლება III (მესამე) პოზიცია

16. ნახევარ ფინალური ან ფინალური რბოლების შეჩერება.

16.1. თუ შეიქმნა რბოლების გაჩერების აუცილებლობა, რბოლის ხელმძღვანელის (მის არ ყოფნაში - შეჯიბრების ხელმძღვანელის დამხმარე) გადაწყვეტილებით ყველა სამარშლო პუნქტზე აფრიალებენ წითელ დროშებს, რამ მონაწილეებს აცნობებს რბოლის შეწყვეტის შესახებ.

რბოლის შეჩრების დროს:

ა) ყველა მონაწილემ დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს რბოლა, შეანელოს ავტომობილი და გაემართონ სასტარტო ბადისაკენ.

გასათვალისწინებელია:

- რბოლის კლასიფიკაცია და პილოტების განლაგება, რბოლის გაგრძელების დროს განხორციელდება ლიდერი ავტომობილის მიერ გავლილი სრული წრეების მიხედვით;
- შესაძლებელია, ინციდენტის გამო სარბოლო მონაკვეთი იყოს ბლოკირებული
- სასტარტო ბადეზე გაჩერების შემდეგ, შესაძლებელია მონაწილეებს ნებართვა დართონ პადოკის გამოყენებისათვის.

16.2. პროცედურა რბოლის შეწყვეტის შემდეგ:

ა) რბოლის სტარტიდან გავლილია არასრული ორი წრე: რბოლის განახლების შემთხვევაში ვხელმძღვანელობთ პუნქტით 17.1.–ით. თუ რბოლა არ განახლდება, რბოლა ჩაითვლებად არ შემდგარად

ბ) რბოლის სტარტიდან გავლილია ორი ან მეტი წრე, მაგრამ სრული დისტანციის 70% ზე ნაკლები(მრგვალდება ნაკლებობისაკენ) - რბოლის განახლების შემთხვევში ვხელმძღვანელობთ პუნქტით 17.2.–ით. თუ რბოლა არ განახლდება, რბოლა ჩაითვლებად არ შემდგარად

გ) რბოლის სტარტიდან გავლილია რბოლის დისტანციის 70%-ზე მეტი (მრგვალდება წრეების ნაკლებობისაკენ) - რბოლის განახლების შემთხვევში ვხელმძღვანელობთ პუნქტით 17.2.–ით. თუ რბოლა არ განახლდება, რბოლა ჩაითვლებად დასრულებულად და გამარჯვებული გამოვლინდება ბოლოს ლიდერის მიერ დაფინიშებული წრეების შესაბამისად.

მუხლი 17. რბოლის განმეორებითი სტარტი

17.1.

ა) სტარტი ანულირდება.

ბ) განმეორებითი სტარტისას, სარბოლო დისტანციის სიგრძე იქნება იგივე (რეგლამენტით გათვალისწინებული)

გ) მრბოლელებმა, რომლებმაც ვერ შეძლეს რბოლის სასტარტო ბადეზე გამოცხადება უფლაბა აქვთ განმეორებითი სტარტისას დაიკავონ სასტარტო ბადე.

დ) რბოლების გაჩერების მიზეზების აღმოფხვრის შემდგომ, განმეორებითი სტარტი შედგება 5 წუთიანი მზადების გამოცხადების შემდგომ.

ე) ფალსტარტი, რომლიც პირველ სტარტზე დაუფიქსირდათ მონაწილეებს ჩაითვლება გაუქმებულად

17.2.

ა) რბოლა განახლდება ლიდერის მიერ დაფიქსირებული სრული წრეების რაოდენობის მიხედვით

ბ) მონაწილეებმა შესაძლებელი რბოლა გააგრძელონ ლიდერისათვის დარჩენილი წრეების რაოდენობის მიხედვით

გ) ავტომობილები განახლებულ სასტარტო ბადეზე დადგებიან რბოლის შეწყვეტამდე დაფინიშებული სრული წრეების რაოდენობის მიხედვით (მიუხედავად იმისა რამდენი წრე აქვს გავლილი რბოლის ლიდერს და რამდენი წრე - სხვა მონაწილეს)

დ) რბოლის მეორე ნაწილის გაგრძელების უფლება აქვთ მხოლოდ იმ ავტომობილებს, რომელებიც თავისი სვლით მივიდნენ მეორე ნაწილის სასტარტო ბადეზე

ე) რბოლების გაჩერების მიზეზების აღმოფხვრის შემდგომ, განმეორებითი სტარტი შესდგება 5 წუთიანი მზადების გამოცხადების შემდგომ.

მუხლი 18. ფინიში.

18.1. სიგანალი ფინიშის შესახებ უდა გაიცეს საფინიშო ხაზიდან და ფინიშის აღმნიშვნელი ალამით, რომელიც აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს ქრონომეტრაჟის ხაზს, ფინიში ითვლება მას შემდეგ, როცა ავტომობილის რომელიმე ნაწილი გადაკვეთს ფინიშის ხაზს.

18.2. რბოლის ფინშის შემდეგ, ყველა მონაწილე უნდა გაემართოს პადოკში.

მუხლი 19. ჯარიმები.

19.1. რეგლამენტის ან მისი დანართების, შეჯიბრების დებულების ან მისი დანართების, სსსფ სკ-ს ან მისი დანართებისა და ტექნიკური მოთხოვნების დაღვევის შემთხვევში შეჯიბრების ხელმძღვანელმა შესაძლებელია გამოიყენოს სსსფ სკ და ასევე მონაწილეებს შეიძლება მიეცეთ:

- შენიშვნა;
- რბოლიდან გაძევება;
- რბოლის შედეგის ანულირება.
- კვალიფიკაციის შედეგის ანულირება
- საბოლო შედეგებში პოზიციური ჯარიმა

19.2. "კოტეტას თასი 2025" ჯარიმები:

- სარბოლო ტრასის გადაკვეთა ოთხივე საბურავით, რის შედეგადაც მრბოლელმა დაიკავა უკეთესი პოზიცია სხვების მიმართ – **1 პოზიცია რბოლის საბოლოო შედეგზე**
- ყვითელი ალმის დროს გადასწრება შეჯიბრების - **1 პოზიცია რბოლის საბოლოო შედეგზე**
- ფალსტარტი – **1 პოზიცია რბოლის საბოლოო შედეგზე**

მუხლი 20. კლასიფიკაცია.

20.1. „კოტეტას თასი 2025" მონაწილეები კლასიფიცირდებიან 2 (ორი) კლასში: კლასი 1 (FWD/RWD) და კლასი 2 (AWD)

20.2. კლასიფიკაცია განისაზღვრება:

ა) იმ მონაწილეებისათვის,რომლებსაც დაფარული აქვთ გამარჯვებულის მიერ გავლილი საერთო დისტანციის 70% (მრგვალდება ნაკლებობისაკენ).

ბ) გამარჯვებულია მონაწილე რომელიც პირველი დაფარავს რბოლის რეგლამენტით გათვლილ წრეების რაოდენობას

გ) რბოლის შეწყვეტის შემთხვევაში (თუ არ განახლდება) გამარჯვებულია მონაწილე, რომესაც პირველს აქვს გადაკვეთილი ფინიშის ზოლი რბოლის შეწყვეტამდე